



2024

შპს „ბები ფუდი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-4
---------------------------------------	-----

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია.....	9
2. მომზადების საფუძველი და არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	20
4. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები	21
5. ძირითადი საშუალებები	23
6. საინვესტიციო ქონება.....	24
7. მარაგები.....	24
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	25
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	25
11. ამონაგები.....	25
12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	25
13. მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი.....	26
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	26
15. არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა.....	26
16. მოგება კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	26
17. მოგების გადასახადის ხარჯი	27
18. ფინანსური რისკის მართვა	27
19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	31
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	31

მმართველობის ანგარიშგება

32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბეიბი ფუდის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბეიბი ფუდის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - კომპანიის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანარი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წამოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები ზედამხედველობენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორ ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან

დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

თბილისი, საქართველო

23 მაისი, 2025 წელი



შპს „ბიზი ფუდი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	919,365	647,494
საინვესტიციო ქონება	6	89,700	89,700
არამატერიალური აქტივები		8,406	9,041
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,017,471	746,235
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	3,511,476	3,656,671
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	7,297,277	5,847,203
გადახდილი ავანსები		87,688	26,489
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1,364,913	3,003,805
სულ მიმდინარე აქტივები		12,261,354	12,534,168
სულ აქტივები		13,278,825	13,280,403
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	17	10,552,695	9,887,379
სულ კაპიტალი		10,552,695	9,887,379
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	2,745,175	3,243,585
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		(19,045)	149,439
სულ ვალდებულებები		2,726,130	3,393,024
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,278,825	13,280,403

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 23 მაისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

 დავით მდივანი

დირექტორი

 ნანა წახნაკია

მთავარი ბუღალტერი

9-31 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბები ფუდი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	919,365	647,494
საინვესტიციო ქონება	6	89,700	89,700
არამატერიალური აქტივები		8,406	9,041
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,017,471	746,235
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	3,511,476	3,656,671
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	7,297,277	5,847,203
გადახდილი ავანსები		87,688	26,489
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1,364,913	3,003,805
სულ მიმდინარე აქტივები		12,261,354	12,534,168
სულ აქტივები		13,278,825	13,280,403
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	17	10,552,695	9,887,379
სულ კაპიტალი		10,552,695	9,887,379
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	2,745,175	3,243,585
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		(19,045)	149,439
სულ ვალდებულებები		2,726,130	3,393,024
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,278,825	13,280,403

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 23 მაისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დავით მდივანი
დირექტორი



ნანა წახნაკია

მთავარი ბუღალტერი

9-31 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბიზი ფუდი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	11	26,118,728	25,612,687
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(16,532,515)	(15,771,745)
საერთო მოგება		9,586,213	9,840,942
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი	13	(4,989,714)	(4,605,618)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(2,766,698)	(2,280,998)
საოპერაციო მოგება		1,829,801	2,954,326
ფინანსური შემოსავალი	9	120,922	136,869
აქტივის გასვლიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)		-	(17,278)
არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	15	(572,553)	(588,983)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	16	(6,972)	(140,919)
მოგება დაბეგვრამდე		1,371,198	2,344,015
მოგების გადასახადის ხარჯი	17	(105,882)	(141,704)
წლის წმინდა მოგება		1,265,316	2,202,311
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,265,316	2,202,311

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 23 მაისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დავით მდივანი

დირექტორი

ნანა წახნაკია

მთავარი ბუღალტერი

9-31 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბები ფუდი“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	11	26,118,728	25,612,687
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(16,532,515)	(15,771,745)
საერთო მოგება		9,586,213	9,840,942
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი	13	(4,989,714)	(4,605,618)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(2,766,698)	(2,280,998)
საოპერაციო მოგება		1,829,801	2,954,326
ფინანსური შემოსავალი	9	120,922	136,869
აქტივის გასვლიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)		-	(17,278)
არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	15	(572,553)	(588,983)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	16	(6,972)	(140,919)
მოგება დაბეგვრამდე		1,371,198	2,344,015
მოგების გადასახადის ხარჯი	17	(105,882)	(141,704)
წლის წმინდა მოგება		1,265,316	2,202,311
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,265,316	2,202,311

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 23 მაისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დავით მდივანი

დირექტორი

ნანა წახნაკია

მთავარი ბუღალტერი



9-31 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბეიზი ფუდი“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	7,910,707	7,910,707
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	2,202,311	2,202,311
გამოცხადებული დივიდენდები (შენიშვნა 17)	(225,639)	(225,639)
31 დეკემბერი 2023	9,887,379	9,887,379
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	1,265,316	1,265,316
გამოცხადებული დივიდენდები (შენიშვნა 17)	(600,000)	(600,000)
31 დეკემბერი 2024	10,552,695	10,552,695

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 23 მაისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დავით მდივანი

დირექტორი

ნანა წახნაკია

მთავარი ბუღალტერი

9-31 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბები ფუდი“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	7,910,707	7,910,707
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	2,202,311	2,202,311
გამოცხადებული დივიდენდები (შენიშვნა 17)	(225,639)	(225,639)
31 დეკემბერი 2023	9,887,379	9,887,379
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	1,265,316	1,265,316
გამოცხადებული დივიდენდები (შენიშვნა 17)	(600,000)	(600,000)
31 დეკემბერი 2024	10,552,695	10,552,695

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 23 მაისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დავით მდივანი 
 დირექტორი

ნანა წახნაკია 
 მთავარი ბუღალტერი



9-31 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბიზი ფუდი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		1,371,198	2,344,015
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	191,072	74,524
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	8	173,249	50,344
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის აღდგენა	8	(139,851)	-
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ზარალი/(მოგება)		-	17,807
მარაგების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	7	288,865	19,880
მარაგების გაუფასურების რეზერვის აღდგენა	7	-	(22,513)
ფინანსური შემოსავალი		(120,922)	(136,869)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	16	6,972	140,919
ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე:		1,770,583	2,488,107
შემცირება / (ზრდა) მარაგებში		(143,670)	559,438
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,483,473)	(1,855,132)
ზრდა გადახდილ ავანსებში		(61,199)	(4,321)
(შემცირება) / ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(362,568)	734,811
შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში		(168,484)	(51,530)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახადამდე		(448,811)	1,871,373
გადახდილი მოგების გადასახადი	17	(105,882)	(141,704)
მიღებული პროცენტი	9	120,922	136,869
წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული) / მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		(433,771)	1,866,538
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	5	-	21,000
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	5	(462,307)	(417,957)
ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(462,307)	(396,957)
საფინანსო საქმიანობა			
გადახდილი დივიდენდები	17	(600,000)	(214,000)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(600,000)	(214,000)
ფულის და ფულის ეკვივალენტების (შემცირება)/ზრდა		(1,496,078)	1,255,581
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		(142,814)	(39,402)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	3,003,805	1,787,626
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		1,364,913	3,003,805

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 23 მაისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დავით მდივანი

ნანა წახნაკია

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

9-31 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბიო ბი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		1,371,198	2,344,015
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5	191,072	74,524
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	8	173,249	50,344
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის აღდგენა	8	(139,851)	-
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ზარალი/(მოგება)		-	17,807
მარაგების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	7	288,865	19,880
მარაგების გაუფასურების რეზერვის აღდგენა	7	-	(22,513)
ფინანსური შემოსავალი		(120,922)	(136,869)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	16	6,972	140,919
ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე:		1,770,583	2,488,107
შემცირება / (ზრდა) მარაგებში		(143,670)	559,438
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,483,473)	(1,855,132)
ზრდა გადახდილ ავანსებში		(61,199)	(4,321)
(შემცირება) / ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(362,568)	734,811
შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში		(168,484)	(51,530)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახადამდე		(448,811)	1,871,373
გადახდილი მოგების გადასახადი	17	(105,882)	(141,704)
მიღებული პროცენტი	9	120,922	136,869
წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული) / მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		(433,771)	1,866,538
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	5	-	21,000
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	5	(462,307)	(417,957)
ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(462,307)	(396,957)
საფინანსო საქმიანობა			
გადახდილი დივიდენდები	17	(600,000)	(214,000)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(600,000)	(214,000)
ფულის და ფულის ეკვივალენტების (შემცირება)/ზრდა		(1,496,078)	1,255,581
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		(142,814)	(39,402)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	3,003,805	1,787,626
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		1,364,913	3,003,805

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 23 მაისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დავით მდივანი

დირექტორი

ნანა წახნაკია

მთავარი ბუღალტერი

9-31 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბეიბი ფუდი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ბეიბი ფუდი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2011 წლის 20 აპრილს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 401957931. კომპანიის წარმომადგენლობაზე და მართვაზე პასუხისმგებელი პირია დავით მდივანი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა და დისტრიბუცია იმპორტირებული ნაწარმით. იგი წარმოადგენს ავსტრიული კომპანია „ჰიპის“ ოფიციალურ დისტრიბუტორს საქართველოში.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის მფლობელი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მაია კურდღელაშვილი	50%	50%
თეიმურაზ მამაცაშვილი	50%	50%

კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში. იურიდიული მისამართი: თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, თევდორე მღვდლის ქ. #51-53.

2. მომზადების საფუძველი და არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები აღწერილია მიმდინარე შენიშვნაში (მე-2 განმარტებითი შენიშვნა). ხოლო მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტა - ლარში (ლ / GEL) და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მომგებიანობა, სტაბილური შემოსავლები, ძლიერი ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე აქტივების ვალდებულებებთან შედარებით მკვეთრი სიჭარბე და გაუნაწილებელი მოგების (კაპიტალის) ოდენობა, ასევე დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები და საჭიროების შემთხვევაში ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საანგარიშგებო ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი / ლარი	2.8068	2,6894
1 ევრო / ლარი	2.9306	2.9753

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2024	2023
1 აშშ დოლარი / ლარი	2.7208	2.6279
1 ევრო / ლარი	2.9440	2.8416

ამონაგები

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანია ამონაგების ძირითად ნაწილს იღებს საბავშვო საკვებისა და სამედიცინო ჰიგიენური საშუალებების გაყიდვიდან, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს.

2. მომზადების საფუძველი და არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილას, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის კომპანია ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, კომპანიას აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

ამონაგების ძირითადი სახელშეკრულებო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები ამონაგების განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. კომპანია მთლიან სახელშეკრულებო ფასს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. ყველა სხვის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა მიღებულ წმინდა ანაზღაურებასა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში - „ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული მოგება (ზარალის)“ სახით.

2. მომზადების საფუძველი და არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ცვეთა

ცვეთა ერიცხება აქტივებს, რათა განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადაზე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს ნაშთის შემცირების მეთოდით ცვეთის ხარჯის დარიცხვას სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
საოფისე აღჭურვილობა	5
კომპიუტერები და სხვა ტექნიკა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების დანიშნულებათა საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ასევე თვითღირებულების მოდელით, რისთვისაც იყენებს ბასს 16-ის მოთხოვნებს. საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები, მათი პირველადი აღიარებისას, ფასდება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის სასრული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

2. მომზადების საფუძველი და არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს, ხელშეკრულება საიჯაროა თუ შეიცავს იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ თვითღირებულებით უნდა აღიაროს აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება შეფასებული იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარემ უნდა გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

2. მომზადების საფუძველი და არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების პერიოდების გათვალისწინებით თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გააგრძელებს ან ვადაზე ადრე არ შეწყვეტს იჯარას. კომპანიას აქვს მხოლოდ მოკლევადიანი იჯარები, რომლისთვისაც იყენებს გამონაკლისს.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს საოფისე და სასაწყობო ფართების მოკლევადიანი იჯარების დროს (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის უფლებას). მოკლევადიან იჯარებზე და იჯარებზე გადახდების აღიარება ხდება ხარჯის სახით, იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით

კომპანია, როგორც მემორე

იჯარა, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. იჯარიდან შემოსავალი აღიარდება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ამონაგების ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული საწყისი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორც საიჯარო შემოსავლისა. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება ამონაგების სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი ამოღება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იქნას სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი წარმოდგენილია კლასიფიკაციით - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს.

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

2. მომზადების საფუძველი და არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ეჭვს აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

საწარმომ ფინანსური ვალდებულება (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ამოიღოს, როდესაც ის შესრუდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება. ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთჩათვლას ახორციელებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია აპირებს ანგარიშსწორება განახორციელოს ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

2. მომზადების საფუძველი და არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებას და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

ხარჯების აღიარება

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი იმ საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად აღიარდება, რომლის განმავლობაშიც კომპანია იღებს მომსახურებას დასაქმებულისაგან.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

2. მომზადების საფუძველი და არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვალენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის ნიშნები იმისა, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ანაზღაურებები, ანაზღაურებადი წლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული სერვისები გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

2. მომზადების საფუძველი და არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან ანგარიშგების თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა გადასახადთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წარმოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა.

გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლედი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღგ-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღგ-ს გადასახდელი და ჩასათვლედი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

2. მომზადების საფუძველი და არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- (ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ან კონტროლდებიან, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიები (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- (გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.
- (ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

- ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და
- ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებები და მსჯელობები განუწყვეტლივ ხორციელდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას, ისევე როგორც სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ სავარაუდო მოვლენებს რომელთა ვარაუდიც გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია შექმნილი გარემოებების მიხედვით. ხელმძღვანელობა ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მსჯელობებს გარდა შეფასებებისა, რომლებიც გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადახედვას ექვემდებარება უწყვეტად. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებების ეფექტი აღიარდება იმ პერიოდში, როცა გადახედვა მოხდა თუ ცვლილება მხოლოდ ეხება იმავე პერიოდს ან თუ ცვლილება ეხება როგორც იმავე, ისე მომავალ საანგარიშგებო პერიოდს.

ხელმძღვანელობისგან მნიშვნელოვან შეფასებებსა და დაშვებებს მოითხოვს ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადებთან, მათ ნარჩენ ღირებულებებთან, ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან და გადასახადებთან დაკავშირებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებებს ანგარიშგების ყოველი წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულებების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ხარჯის ცვლილება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტობრივი შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალეზადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხედრად კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

4. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები ძალაშია წლიური პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ:

ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს 7-ში და ფასს 7-ში - 2023 წლის მაისში ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, რომელთა მიზანია მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების თავისებურებების განმარტება და ასეთი გარიგებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ამ ცვლილებებში მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმაროს, უკეთ წარმოადგინონ მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე და ლიკვიდურობის რისკზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციაში - ცვლილებები ფასს 16-ში - 2022 წლის სექტემბერში ბასსს-მ გამოუშვა ცვლილებები ფასს 16-ში იმ მოთხოვნების დასაზუსტებლად, რომლებსაც გამყიველი მოიჯარე იყენებს საიჯარო ვალდებულების შესაფასებლად აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში, რათა გამყიდველმა მოიჯარემ არ აღიაროს შემოსულობის ან ზარალის რამე თანხა, რომელიც უკავშირდება მის მიერ შენარჩუნებულ აქტივის გამოყენების უფლებას.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიკაცია - ცვლილებები ბასს 1-ში - 2020 წლის იანვარში და 2020 წლის ივლისში, ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად“. ცვლილება განმარტავს, რომ ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად უნდა ეყრდნობოდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ უფლებებს. ცვლილებები ასევე განმარტავს, რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის მოლოდინები, გამოიყენებს თუ არა საწარმო თავის უფლებას გადაავადოს ვალდებულების დაფარვა და რომ დაფარვა გულისხმობს კონტრაქტისთვის ფულადი სახსრების, წილობრივი ინსტრუმენტების, სხვა აქტივების ან მომსახურების გადაცემას.

გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით - ცვლილებები ბასს 1-ში - 2022 წლის 31 ოქტომბერს ბასსს-მა გამოაქვეყნა „გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით“ (ცვლილებები ბასს 1-ში), რომლებითაც განმარტა ის, თუ როგორ მოქმედებს ვალდებულების კლასიფიკაციაზე პირობები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს საწარმომ საანგარიშგებო პერიოდიდან არაუგვიანეს თორმეტი თვის ვადაში.

სტანდარტები რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ცვლილებები, რომლებსაც გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ინფორმაციის გამჟღავნება - ფასს 18 - ფასს 18 ანაცვლებს ბასს 1-ს და სავალდებულოდ ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ფასს 18 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ინფორმაციის გამჟღავნება“ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოიცა 2024 წლის აპრილში, რათა ჩანაცვლდეს ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს 18 მიზნად ისახავს შესადარისობის და ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესებას, განსაკუთრებულად: მოგება-ზარალის ანგარიშგებაში დამატებითი განსაზღვრული ქვეინფორმაციის მოთხოვნას; მოითხოვს მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული შესრულების ზომების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას; ახლი პუნქტების დამატებას, გაერთიანებისა და დაშლის პრინციპებს. IASB-ს არ გამოუყენებია ბასს 1-ის ყველა ასპექტი ფასს 18-ის შემუშავებისას, თუმცა ფოკუსირებული იყო მოგება ან ზარალის ანგარიშგებაზე. IASB-მ შეინარჩუნა ზოგიერთი პუნქტი ბასს 1-დან ფასს 18-ში.

4. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (გაგრძელება)

ცვლილებები, რომლებსაც სავარაუდოდ არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა - ცვლილება ბასს 21-ში
- ▶ ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე
- ▶ ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და გაზომვა - ცვლილებები ფასს 9-ში და ფასს 7-ში.

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესულ ცვლილებებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღის მდგომარეობით, კომპანიას ადრეულად არ გამოუყენებია ახალი და შეცვლილი ფასს სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა.

შპს „ბეიბი ფუდი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საოფისე აღჭურვილობა	კომპიუტერები და სხვა ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება					
31 დეკემბერი 2022	44,329	29,773	631,488	-	705,590
შემენა	519	152,180	227,044	38,214	417,957
გასვლა	-	-	(104,826)	-	(104,826)
31 დეკემბერი 2023	44,848	181,953	753,706	38,214	1,018,721
შემენა	4,115	1,295	456,896	-	462,306
31 დეკემბერი 2024	48,963	183,248	1,210,602	38,214	1,481,027
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2022	(34,508)	(19,241)	(310,303)	-	(364,052)
ცვეთის ხარჯი	(4,039)	(4,110)	(61,536)	(3,509)	(73,194)
გაყიდული ქონების ცვეთა	-	-	66,019	-	66,019
31 დეკემბერი 2023	(38,547)	(23,351)	(305,820)	(3,509)	(371,227)
ცვეთის ხარჯი	(3,590)	(31,101)	(152,695)	(3,049)	(190,436)
31 დეკემბერი 2024	(42,137)	(54,452)	(458,515)	(6,558)	(561,663)
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2023	6,301	158,602	447,886	34,705	647,494
31 დეკემბერი 2024	6,826	128,796	752,087	31,656	919,365

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული გირავნობით.

შპს „ბეიზი ფუდი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

6. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიწა	89,700	89,700
სულ საინვესტიციო ქონება	89,700	89,700

კომპანია საინვესტიციო ქონებას აღრიცხავს თვითღირებულების მოდელით. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეფასებულია 1,021,582 ლარად (2023 წლის 31 დეკემბრისთვის 1,170,611 ლარად).

7. მარაგები

მარაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გასაყიდად გამიზნული მარაგები	4,168,656	4,022,423
საწვავი	24,334	26,897
მარაგების რეზერვი	(681,514)	(392,649)
სულ მარაგები	3,511,476	3,656,671

მარაგების რეზერვის მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შემდეგია:

	2024	2023
მარაგების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	392,649	395,282
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	-	(22,513)
მარაგების რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	288,865	19,880
მარაგების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	681,514	392,649

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	7,549,407	6,138,310
სხვა მოთხოვნები	7,035	9,233
გაუფასურების რეზერვი	(259,165)	(300,340)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,297,277	5,847,203

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობის ანალიზი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გაუფასურების ანარიცხი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(249,996)
რეზერვის ზრდა წლის განმავლობაში	(50,344)
გაუფასურების ანარიცხი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(300,340)
რეზერვის ზრდა წლის განმავლობაში	(173,249)
რეზერვის ჩამოწერა წლის განმავლობაში	74,573
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	139,851
გაუფასურების ანარიცხი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(259,165)

შპს „ბეიზი ფუდი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,314,023	2,960,377
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	39,511	35,897
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	11,379	7,531
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,364,913	3,003,805

ბანკში განთავსებულ მოკლევადიან დეპოზიტებს, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის განმავლობაში დაერიცხა საპროცენტო სარგებელი 120,922 ლარის ოდენობით (2023: 136,869 ლარი). 2024 წელს საპროცენტო განაკვეთმა მოკლევადიან დეპოზიტებზე შეადგინა 12% (2023: 9%)

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	2,630,018	3,210,065
გადასახდელი ხელფასები	112,298	30,661
სხვა ვალდებულებები	2,859	2,859
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,745,175	3,243,585

დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში შემავალი ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას.

11. ამონაგები

ამონაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	27,802,121	27,002,028
საქონლის უკან დაბრუნება	(1,683,393)	(1,389,341)
სულ ამონაგები	26,118,728	25,612,687

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2024 და 2023 წელს გაყიდული საქონლის თვითღირებულებამ წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16,850,171	16,085,887
მოზრუნებული პროდუქციის თვითღირებულება	(317,656)	(314,142)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16,532,515	15,771,745

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს: გაყიდული მარაგების შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს. აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მათ მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შპს „ბეიზი ფუდი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

13. მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი

გაყიდვის დანახარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
რეალიზაციისა და მარკეტინგის ხარჯები	2,472,692	2,408,374
წარმომადგენლობითი და სხვა მარკეტინგული ხარჯები	1,628,174	1,328,259
დისტრიბუტორთა ხელფასი	775,680	771,232
სხვა ხარჯები	113,168	97,753
სულ მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი	4,989,714	4,605,618

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ხელფასი და სხვა სარგებელი	1,292,674	1,067,811
საწვავის ხარჯები	306,577	281,861
საგადასახადო ხარჯი	267,962	242,257
იჯარის ხარჯი	266,156	205,282
მანქანის ხარჯები	214,016	187,204
ცვეთა და ამორტიზაცია	191,072	73,594
საკანცელარიო ხარჯები	48,436	50,129
მივლინების ხარჯი	28,509	21,019
კომუნალური ხარჯები	22,266	13,125
დაზღვევის ხარჯი	18,874	27,092
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	110,156	111,624
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,766,698	2,280,998

* კომპანია იჯარით აღებული აქვს უძრავი ქონება - სასაწყობე ფართები და საოფისე ფართი.

15. არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა

არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
მარაგების გაუფასურების ხარჯი	(288,865)	(19,880)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(173,249)	(50,344)
ვადაგასული და დანაკლისი მარაგების ჩამოწერის ხარჯი	(56,041)	(203,438)
უსასყიდლოდ გადაცემული მარაგების ჩამოწერა	(145,972)	(197,995)
საქველმოქმედო ხარჯი	(22,028)	(110,353)
სავაჭრო მოთხოვნების აღდგენა	139,851	-
ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობა	5,906	51,229
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	-	22,512
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(27,311)	(102,723)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(4,844)	22,009
სულ არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	(572,553)	(588,983)

16. მოგება კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა

	2024	2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	(142,814)	(39,402)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	135,842	(101,517)
წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(6,972)	(140,919)

17. მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

2024 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 600,000 ლარის დივიდენდი, რომელიც დაიბეგრა მოგების გადასახადით 105,882 ლარით. 2023 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 225,639 ლარის დივიდენდი, საიდანაც 22,023 ლარის მოგება გათავისუფლებული იყო მოგების გადასახადისგან (საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი). დარჩენილი 203,606 ლარის მოგება დაიბეგრა მოგების გადასახადით 35,930 ლარით.

18. ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს:

- ▶ საკრედიტო რისკს,
- ▶ საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა საფასო რისკის ჩათვლით) და
- ▶ ლიკვიდურობის რისკს.

ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნები არის რისკების ლიმიტების დადგენა და შემდგომ არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენის უზრუნველყოფა.

საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

შპს „ბეიზი ფუდი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,556,442	6,147,543
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,364,913	3,003,805
სულ ფინანსური აქტივები	8,921,355	9,151,348
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,745,175	3,243,585
საგადასახადო ვალდებულებები	(19,045)	149,439
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,726,130	3,393,024
წმინდა ფინანსური პოზიცია (აქტივების ნამეტი ვალდებულებებზე)	11,647,485	12,544,372

საკრედიტო რისკი

კომპანიას შესაძლოა დაუდგეს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობით გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,556,442	6,147,543
ფული და ფულის ეკვივალენტები ბანკში (ნაღდი ფულის გამოკლებით)	1,325,402	2,967,908
სულ ფინანსური აქტივები	9,115,451	9,115,451

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, რომელიც შეეხება:

- უცხოურ ვალუტაში არსებულ ოპერაციებს (სავალუტო რისკი);
- საპროცენტო აქტივებსა და ვალდებულებებს;
- ფასების ზოგადი და სპეციფიკურ საბაზრო ცვალებადობას, რომელსაც გავლენა აქვს კომპანიაზე.

ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღებ რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება სისტემატიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას, როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს მაჩვენებლები ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

კომპანიის საბაზრო რისკების ანალიზისას, ყველაზე მნიშვნელოვანია სავალუტო რისკი, რომლის მგრძნობელობაც გაანალიზებულია ქვემოთ. ხოლო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკი კომპანიისთვის უმნიშვნელოა მისი ფინანსური ინსტრუმენტების სტრუქტურიდან გამომდინარე.

შპს „ბიზი ფუდი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მის სასესხო და საკრედიტო ვალდებულებებს.

ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ, საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით:

2024	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	1,628	1,913,042	(1,911,414)
ევრო	9,517	4,308,584	(4,299,067)
სულ	11,145	6,221,626	(6,210,481)

2023	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	1,426	453,135	(451,709)
ევრო	6,105	2,689,471	(2,683,366)
სულ	7,531	3,142,606	(3,135,075)

გავლენა მოგება-ზარალზე

	2024	2023
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(191,141)	(45,171)
ევროს 10%-ით გამყარება	(429,907)	(268,337)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	191,141	45,171
ევროს 10%-ით გაუფასურება	429,907	268,337

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება და დადგეს ფინანსური სირთულის წინაშე. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით. ხელმძღვანელობა კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს ახორციელებს.

შპს „ბიზი ფუდი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2024	< 1 წელი	სულ
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,364,913	1,364,913
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,297,277	7,297,277
სულ ფინანსური აქტივები	8,662,190	8,662,190
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,745,175	2,745,175
საგადასახადო ვალდებულებები	(19,045)	(19,045)
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,726,130	2,726,130
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	5,936,060	5,936,060

31 დეკემბერი 2023	< 1 წელი	სულ
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,003,805	3,003,805
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,847,203	5,847,203
სულ ფინანსური აქტივები	8,851,008	8,851,008
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,243,585	3,243,585
საგადასახადო ვალდებულებები	149,439	149,439
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,393,024	3,393,024
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	5,457,984	5,457,984

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება სამართლიანი ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. სამართლიანი ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);

დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;

დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

სამართლიანი ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას.

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ქვემოთ მოცემულია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და მათი შედეგები საანგარიშგებო პერიოდებისათვის:

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენს 93,786 ლარს (2023: 40,411 ლარი).

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 23 მაისი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს „ბეიბი ფუდი“
მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა	34
საქმიანობის აღწერა	34
მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა და საქართველოს ჯანდაცვის ბაზარი	34
„ბეიბი ფუდის“-ს განვითარების გეგმები	34
სოციალური პასუხისმგებლობა	35
კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	35
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	36
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	36

შპს „ბეიბი ფუდი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

საქმიანობის აღწერა

„ბეიბი ფუდი“ საქართველოს ბაზარზე 2011 წლიდან ოპერირებს და ახორციელებს როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტირებული ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენური პროდუქტების დისტრიბუციას. კომპანია თანამშრომლობს ისეთ მსოფლიო დონის ბრენდებთან, როგორიცაა: Hipp GmbH, Arkan Tic, Splat.

„ბეიბი ფუდი“ ოპერირებს მთელი საქართველოს მასშტაბით. დისტრიბუცია ხორციელდება თბილისისა და ქუთაისის საწყობებიდან. თბილისის საწყობი ემსახურება აღმოსავლეთ საქართველოს, ქუთაისის საწყობი კი დასავლეთ საქართველოს.

კომპანიის მიზანია საქართველოს მოსახლეობის უზრუნველყოფა უმაღლესი ხარისხის ბავშვთა კვების პროდუქტებითა და მოვლის საშუალებებით.

2019 წელს, კომპანია Hipp GmbH-მა „ბეიბი ფუდი“-ს მიანიჭა მსოფლიოში საუკეთესო დისტრიბუტორის სტატუსი.

მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა და საქართველოს ჯანდაცვის ბაზარი

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებაზე. შემცირდა კორუფცია, ბიზნესის წამოწყების სიმარტივით ქვეყანამ მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოში. ქვეყანაში, ბოლო წლების მანძილზე, განხორციელდა ეკონომიკური რეფორმები, რამაც ხელი შეუწყო საქართველო გამხდარიყო რეგიონში ყველაზე წარმატებულ ეკონომიკის ქვეყნად ბიზნესის დაწყებისთვის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2024 წლის დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 6.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2024 წლის საშუალო რეალური ზრდა 9.5 პროცენტით განისაზღვრა.

„ბეიბი ფუდის“-ს განვითარების გეგმები

„ბეიბი ფუდის“-ს მიზანია უზრუნველყოს მოსახლეობა მაღალი ხარისხის პროდუქტებით. კომპანიას შემუშავებული აქვს მომავალი სამი წლის სტრატეგია, რომელიც რამოდენიმე მიმართულებას მოიცავს:

- დაფარვის გაზრდა;

ტერიტორიული ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა კომპანიის სტრატეგიაში. კომპანია გეგმავს ახალ ობიექტებში პროდუქციის შეტანას, რათა ხარისხიანი ბავშვთა კვების და მოვლის საშუალებები უფრო ხელმისაწვდომი გახდეს მოსახლეობისთვის საქართველოს ყველა კუთხეში.

- ბევშვთა კვების ბაზრის წილის ზრდა;

რა თქმა უნდა, ბიზნესის წინსვლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კომპანიამ გაზარდოს ბრუნვა და ასევე მოახდინოს ხარჯების ოპტიმიზაცია პროცესების გაუმჯობესების მეშვეობით, რაც საბოლოოდ იქონიებს დადებით ეფექტს კომპანიის მოგებაზე.

- ეკოლოგიურად სუფთა ბავშვთა საკვების პოპულარიზაცია;

დღევანდელ რეალობაში, როდესაც გარემო საკმარისზე მეტად დაბინძურებულია, საკვები პროდუქტების დიდი ნაწილი კი მავნებელი, ბავშვის იმუნიტეტისთვის, ზრდისა და განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღ და სასარგებლო საკვებს. სწორედ ამიტომ, კომპანია ცდილობს მოახდინოს ორგანული, არაგენმოდირებული და ეკოლოგიურად სუფთა ბავშვთა საკვების პოპულარიზაცია. გრძელვადიან პერსპექტივაში „ბეიბი ფუდი“ აღნიშნული მიმართულებების განვითარებას კვლავ განაგრძობს. გარდა ამისა, კომპანია განახორციელებს რეფორმებს სხვადასხვა მიმართულებით.

შპს „ბეიბი ფუდი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

საოპერაციო მოგების მარჟა – საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი/ამონაგები. ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას.

მოგება დაბეგვრამდე - მოგება დაბეგვრამდე/ამონაგები. ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს შემოსავლის რა ნაწილი რჩება მოგებად მოგების გადასახადის გადახდამდე.

წმინდა მოგების მარჟა - წმინდა მოგება/ამონაგები. ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს შემოსავლის რა წილი რჩება კომპანიას.

2024 წელს საოპერაციო მოგების მარჟა შემცირდა 7.01 %-მდე, მოგება დაბეგვრამდე 5.25 %-მდე, ხოლო წმინდა მოგების მარჟა 4.84 %-მდე. 2023 წელს საოპერაციო მოგების მარჟა იყო 11.53 %, მოგება დაბეგვრამდე 9.15 %, ხოლო წმინდა მოგება 8.60 %.

სამუშაო კაპიტალი = მიმდინარე აქტივები-მიმდინარე ვალდებულებები.

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი = ფული და ფულის ექვივალენტები/მიმდინარე ვალდებულებები. ეს ინდიკატორი აჩვენებს რამდენად შეუძლია კომპანიას მიმდინარე ვალდებულებების გასტუმრება ფულით და მიანიშნებს კომპანიის ლიკვიდურობაზე.

მიმდინარე კოდეფიციენტი = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები. ეს ინდიკატორი მიუთითებს თუ რამდენად მზად არის კომპანია არსებული მიმდინარე რესურსებით დაფაროს არსებული მიმდინარე ვალდებულებები.

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი = (მიმდინარე აქტივები - მარაგები)/ მიმდინარე ვალდებულებები. ეს კოეფიციენტიც არის ლიკვიდურობის მაჩვენებელი, რომელიც არ ითვალისწინებს მარაგებს, რადგან მარაგები მიმდინარე აქტივებში ყველაზე არალიკვიდური აქტივია.

ამ კოეფიციენტებიდან ვხედავთ, რომ სამუშაო კაპიტალი მერყეობს 9,141,143-დან 9,535,224-მდე, რომელიც პირდაპირ აისახება მიმდინარე და სწრაფ ლიკვიდობის კოეფიციენტებზე და ასახავს კომპანიის ლიკვიდურობას მიმდინარე ვალდებულებების დაფარვასთან მიმართებაში. „ბეიბი ფუდი“-ს ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით, მიმდინარე აქტივები დაახლოებით 4.5-ჯერ აღემატება მოკლევადიან ვალდებულებებს 2024 წლის მდგომარეობით.

მთლიანი ვალდებულებების მთლიან კაპიტალთან შეფარდება არის კომპანიის ფინანსური რისკიანობის ძირითადი ინდიკატორი, რომელიც აჩვენებს რამდენად რისკიანი სტრუქტურა აქვს კომპანიის აქტივების დაფინანსების წყაროს.

2023 წელს ვალდებულებების კაპიტალთან შეფარდება იყო 34.32%, ხოლო 2024-ში კაპიტალის გაზრდის შედეგად ეს კოეფიციენტი შემცირდა 25.83%-მდე.

სოციალური პასუხისმგებლობა

„ბეიბი ფუდი“-ს მთავარ ფასეულობას წარმოადგენს ხარისხი და მომხმარებლებლებზე ორიენტირებულობა. კომპანიის გრძელვადიანი წარმატების გარანტს წარმოადგენს მისი პასუხისმგებლობა, როგორც მომხმარებლების, ასევე კომპანიის პერსონალის მიმართ.

„ბეიბი ფუდი“ თანამშრომლებს სთავაზობს სტაბილურ სამუშაო პირობებს და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს, მოქმედებს შრომის კოდექსის ნორმების შესაბამისად, იცავს დასაქმებულთა უფლებებს და უსაფრთხოების ნორმებს.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას უსაფრთხოება წარმოადგენს, რაც პანდემიის პირობებში მეტად მნიშვნელოვანია. კომპანიაში დაცულია პროდუქციის გადაზიდვისა და დასაწყობების უმაღლესი სტანდარტები.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2024 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

შპს „ბეიბი ფუდი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შობადობისა და ქორწინების რიცხვის შემცირება

ბოლო წლების მანძილზე შეინიშნება შობადობისა და ქორწინების რიცხვის მკვეთრი შემცირება. 2024 წელს შობადობის კოეფიციენტი 1,000 კაცზე შეადგინა 10.7, მაშინ, როდესაც 2023 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 10.8-ს. 2024 წელს შობადობის მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით 75%-ით არის შემცირებული, ქორწინების კი 6.58%-ით.

ეფექტი

ქორწინებისა და შობადობის შემცირება უარყოფითად აისახება ბავშვთა კვების პროდუქტებისა და მოვლის საშუალებების რეალიზაციაზე.

სავალუტო და მაკროეკონომიკური

ბავშვთა კვებისა და ჰიგიენური საშუალებების შესყიდვები დენომინირებულია დოლარსა და ევროში. შესაბამისად, კომპანია არის სავალუტო რისკის წინაშე. მაკროეკონომიკურმა ფაქტორებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, შემცირდეს მშპ ან მნიშვნელოვნად გაიზარდოს ინფლაციის დონე.

ეფექტი

დოლარსა და ევროსთან მიმართებაში ლარის გაუფასურება უარყოფითად მოქმედებს კომპანიის შემოსავლებზე/ხარჯებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად სახსრებზე.

რისკის შემცირება

კომპანიის მიერ მუდმივად ხდება მომწოდებლებთან და კლიენტებთან ფასების გადახედვა სავალუტო რისკის შესამცირებლად.

შავი პიარი

სხვადასხვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით დეზინფორმაციის ტირაჟირებით, ინფორმაციის ფრაგმენტულად, დამახინჯებით გავრცელებით ხდება საზოგადოებაში მცდარი აზრის დამკვიდრება.

ეფექტი

შავი პიარი უარყოფითად მოქმედებს მომხმარებლის ნდობაზე, რაც უარყოფითად აისახება კომპანიის შემოსავლებზე.

რისკის შემცირება

კომპანია მუდმივად ცდილობს საზოგადოებაში კეთილი განწყობის დამკვიდრებასა და ორმხრივი, კეთილსინდისიერი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

შპს „ბეიბი ფუდი“

დირექტორი: დავით მდივანი

თარიღი: 23 მაისი 2025

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შობადობისა და ქორწინების რიცხვის შემცირება

ბოლო წლების მანძილზე შეინიშნება შობადობისა და ქორწინების რიცხვის მკვეთრი შემცირება. 2024 წელს შობადობის კოეფიციენტმა 1,000 კაცზე შეადგინა 10.7, მაშინ, როდესაც 2023 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 10.8-ს. 2024 წელს შობადობის მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით 75%-ით არის შემცირებული, ქორწინების კი 6.58%-ით.

ეფექტი

ქორწინებისა და შობადობის შემცირება უარყოფითად აისახება ბავშვთა კვების პროდუქტებისა და მოვლის საშუალებების რეალიზაციაზე.

სავალუტო და მაკროეკონომიკური

ბავშვთა კვებისა და ჰიგიენური საშუალებების შესყიდვები დენომინირებულია დოლარსა და ევროში. შესაბამისად, კომპანია არის სავალუტო რისკის წინაშე. მაკროეკონომიკურმა ფაქტორებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, შემცირდეს მშპ ან მნიშვნელოვნად გაიზარდოს ინფლაციის დონე.

ეფექტი

დოლარსა და ევროსთან მიმართებაში ლარის გაუფასურება უარყოფითად მოქმედებს კომპანიის შემოსავლებზე/ზარჯებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად სახსრებზე.

რისკის შემცირება

კომპანიის მიერ მუდმივად ხდება მომწოდებლებთან და კლიენტებთან ფასების გადახედვა სავალუტო რისკის შესამცირებლად.

შავი პიარი

სხვადასხვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით დეზინფორმაციის ტირაჟირებით, ინფორმაციის ფრაგმენტულად, დამახინჯებით გავრცელებით ხდება საზოგადოებაში მცდარი აზრის დამკვიდრება.

ეფექტი

შავი პიარი უარყოფითად მოქმედებს მომხმარებლის ნდობაზე, რაც უარყოფითად აისახება კომპანიის შემოსავლებზე.

რისკის შემცირება

კომპანია მუდმივად ცდილობს საზოგადოებაში კეთილი განწყობის დამკვიდრებასა და ორმხრივი, კეთილსინდისიერი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

შპს „ბები ფუდი“

დირექტორი დავით მდივანი

თარიღი: 23 მაისი 2025

